

დოფამინის რეცეპტორის ცილოვანი ინტერაქტომები ძილის დეპრივაციის დროს

ნიკა ბრეგვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გამოყენებითი
ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია,
მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)

მიმართულება - გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია კიკნაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

23.06.2025

აბსტრაქტი

დოფამინის რეცეპტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირონებს შორის სიგნალთა გადაცემასა და ქცევით რეგულაციაში. ძილის დეპრივაცია ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ძლიერი სტრესული ფაქტორი, რომელიც ცვლის დოფამინურულ აქტივობას. მოცემული სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ძილის დეპრივაციის პირობებში დოფამინის რეცეპტორებთან ასოცირებული ცილოვანი ინტერაქტომების ცვლილების შესწავლას. მიღებული შედეგები ასახავს ძილის დარღვევის შედეგად მიღებულ მოლეკულურ ცვლილებებს, რომლებიც, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სინაფსური ფუნქციის დარღვევასა და ნეირობიოლოგიური პროცესების დისრეგულაციასთან.

საკვანძო სიტყვები: ძილის დეპრივაცია, დოფამინის რეცეპტორები, ინტერაქტომები.